



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფილოსოფია
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
16-2.06.2022

28.07.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოსოფია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფილოსოფიის მაგისტრო
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0223, ფილოსოფია და ეთიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული N295, 02/08/2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი თავაძე - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა *ფილოსოფია* ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა 2022 წლის 16 ივლისს. საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წლის 30 სექტემბერს (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N69). აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია ყოველგვარი დათქმის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას საფუძვლად დაედო ქართული ფილოსოფიის სკოლის საუკეთესო ტრადიციები და ასევე გათვალისწინებული იყო გერმანიის ბოხუმის რურის უნივერსიტეტის (Ruhr-Universität Bochum) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **ფილოსოფია** სტრუქტურა.

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

პროგრამის განვითარება დაეფუძნა ეტაპობრივად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეების გაზიარებას. მათ შორის აღსანიშნავია, საგანმანათლებლო პროგრამის გაფართოვება დარგობრივი კომპეტენციების მიმცემი სასწავლო კურსებით. თუმცა საგანმანათლებლო პროგრამას მოაკლდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ბლოკი, რაც საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს კონცეპტუალურად გააზრებული უნდა ჰქონდეს. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების პროცესს არ ჰქონია სრული ფორმატი, მოცემული ცვლილების განხორციელების საფუძველები ამ ეტაპზე ვერ იქნა განმარტებული დაწესებულების მხრიდან.

აკრედიტაციის განახლებული სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე განახლებული სახით იქნა წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მატრიცები (სადაც ახლანდელი მოცემულობით დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა.), კერძოდ, არსებით ცვლილებებს დაექვემდებარა სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, განსაზღვრულია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და წარმოდგენილია ასევე სწავლის შედეგების კომპეტენციები.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (4 დანართი). წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მიმართებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 9 22 0000650432 16/06/2022 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ნინო ქიმერიძე (თავმჯდომარე); გიორგი თავაძე(წევრი) განახორციელა სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **ფილოსოფია** არაგემიური მონიტორინგი. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

▪ რეკომენდაციები

კომპონენტი 2.6

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვრები და დაკორექტირდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვარი) რედაქტირებული ვერსიის მიხედვით;
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და წარდგენის კონცეფცია შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობაში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი 1.1

- სასურველია, პროგრამის მიზნებში მითითებული იქნეს, თუ რა წვლილს შეიტანს პროგრამა სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უნიკალურობის წარმოჩენას.

კომპონენტი 1.2

- სასურველია სამიზნე ნიშნულების დანართი შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის რუბრიკებთან და დაკორექტირდეს ტექნიკური უზუსტობა შესაბამის მატრიცაში.

- პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმში არაა მოცემული პროგრამის განვითარების დინამიკა, ანუ არ არის დოკუმენტირებული, თუ რეალობაში როგორ ხდებოდა სამიზნე ნიშნულებზე გასვლა.

კომპონენტი 2.2

- სასურველია დაკორექტირდეს ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების კატალოგში თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულებში კრედიტების მინიმალური რაოდენობა პროგრამის აღწერაში მითითებულ კრედიტების რაოდენობასთან.

კომპონენტი 2.3

- რადგან თანამედროვე ფილოსოფიური კვლევის შესახებ სწრაფად განახლებადი ინფორმაცია უფრო მეტად სამეცნიერო სტატიების მეშვეობით ვრცელდება, სასურველია უახლოეს 10 წელიწადში გამოქვეყნებული (თემების შესაბამისი) სტატიების უფრო მეტად ინტეგრირება პროგრამის სილაბუსებში (განსაკუთრებით, პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულში). ეს, ასევე, მაგისტრანტებს დაეხმარება მონაცემთა ბაზებში ძირითად ლიტერატურასთან დაკავშირებული დამატებითი ლიტერატურის მოძებნასა და, ზოგადად, კვლევითი უნარების განვითარებაში;
- სასურველია, სილაბუსებში „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია“, „ზიგმუნდ ფროიდი და არაცნობიერის ფილოსოფია“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა უფრო სრულყოფილად იყოს დამოწმებული (გამოცემის ენა, ადგილი და ა.შ.). ასევე, სასურველია, მოცემული თემების შესახებ უახლესი ლიტერატურის (იხ. წინა რჩევა) და სხვა მნიშვნელოვანი ავტორების ნაშრომების მითითება (მაგალითად, ფროიდის შემთხვევაში პოლ რიკიორის ცნობილი ნაშრომის „ფროიდი და ფილოსოფია“ და სხვ.).

კომპონენტი 2.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კომპონენტი 2.3

- სილაბუსი „აკადემიური წერა“ შედგენილია ძალიან დეტალურად: მასში დაწვრილებითაა მოცემული თემატიკა, განსახილველი საკითხები, შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და ა.შ.
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კომპონენტი 1.2

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 8) მითითებულია, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში მოხდა სწავლის შედეგების კორექტირება, რის შედეგადაც ისინი უფრო გამსხვილებული სახით ჩამოყალიბდა და „უფრო მკაფიოდ გახდა ორიენტირებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7-ე დონის აღმწერზე.“

კომპონენტი 2.2

- თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 9) თანახმად, პროგრამას დაემატა ორი სავალდებულო კურსი: „თეორიული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“ და „პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“, რის შედეგადაც სავალდებულო კურსების რაოდენობა 6-დან 18 კრედიტამდე გაიზარდა. სავალდებულო-არჩევითი კურსების რაოდენობა კი 60 კრედიტი გახდა. ამასთანავე, პროგრამას მოაკლდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ბლოკი.

- **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პასუხებში კონკრეტული საკითხები ბოლომდე არ არის გადაფარული და დაელოდება საკითხის საჯარო განხილვას აკრედიტაციის საბჭოს ფორმატში. მოცემულ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაციები და რჩევები რჩება უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ფილოსოფიის დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ სიღრმისეული ცოდნა ტრადიციულ ფილოსოფიურ დისციპლინებში (ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, კულტურის ფილოსოფია, პოლიტიკის ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია) და რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან შესაბამისი უნარებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, საკვანძო ფილოსოფიური საკითხების შესახებ ჩამოაყალიბონ თეორიული მიდგომა და დამოუკიდებლად განახორციელონ კვლევითი პროცესი (პროგრამის აღწერა, გვ. 2). აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებში არ არის მითითებული, თუ რა წვლილს შეიტანს პროგრამა სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. შესაბამისად, სასურველია, რომ აღნიშნული მომენტი შეტანილი იქნეს პროგრამის მიზნების აღწერაში, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უნიკალურობის წარმოჩენას.</p> <p>პროგრამის მიზნები და შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მიღწევადაა და შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია (აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://iliauni.edu.ge/filosofia, ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ კორექტირებული საგანმანათლებლო პროგრამა ასევე განთავსდება უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე) და ისინი შესაბამისობაშია ფაკულტეტის (იხ. https://iliauni.edu.ge/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti) და უნივერსიტეტის (იხ. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission) მიზნებსა და მისიასთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის აღწერა; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტის მიზნები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, პროგრამის მიზნებში მითითებული იქნეს, თუ რა წვლილს შეიტანს პროგრამა სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში, რადგან ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უნიკალურობის წარმოჩენას.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 8) მითითებულია, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში შეძენილი გამოცდილების და პროგრამის „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მოხდა პროგრამის მიზნების განახლება და დახვეწა, კერძოდ, მათი უფრო დაკონკრეტება იმისთვის, რათა გამოკვეთილიყო პროგრამის ძირითადი ფოკუსი
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის აღწერაში (გვ. 2-3) აღწერილია პროგრამის შედეგები (სულ 8), რომლებიც მკაფიოდ და გასაგებადაა გადმოცემული. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, ფილოსოფიის დარგობრივ მახასიათებელთან და მაგისტრატურის საგანმანათლებლო დონისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. შედეგებისა და მიზნების რუკაში ადეკვატურადაა მოცემული პროგრამის მიზნების მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში დადგენილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებთან მიმართებით. შეფასების პერიოდი მოიცავს II-IV სემესტრებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში მოცემულია სწავლის 6 შედეგი, ხოლო პროგრამის აღწერაში მითითებულია 8 შედეგი. შესაბამისად, საჭიროა, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი შესწორდეს და სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში მითითებული სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის აღწერაში მითითებულ სწავლის შედეგებთან. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმში არაა მოცემული პროგრამის განვითარების დინამიკა, ანუ არ არის დოკუმენტირებული, თუ რეალობაში როგორ ხდებოდა სამიზნე ნიშნულებზე გასვლა. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, გააგრძელოს სწავლა განათლების შემდეგ საფეხურზე. ასევე, სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, დასაქმდეს საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში მითითებულ სფეროებში (იხ. პროგრამის აღწერა, გვ. 4).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ▪ ფილოსოფიის დარგობრივი მახასიათებელი; ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია სამიზნე ნიშნულების დანართი შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის რუბრიკებთან და დაკორექტირდეს ტექნიკური უზუსტობა შესაბამის მატრიცაში. • პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმში არაა მოცემული პროგრამის განვითარების დინამიკა, ანუ არ არის დოკუმენტირებული, თუ რეალობაში როგორ ხდებოდა სამიზნე ნიშნულებზე გასვლა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 8) მითითებულია, რომ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში მოხდა სწავლის შედეგების კორექტირება, რის შედეგადაც ისინი უფრო გამსხვილებული სახით ჩამოყალიბდა და „უფრო მკაფიოდ გახდა ორიენტირებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7-ე დონის აღმწერზე.“
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები უფრო დეტალურად მოცემულია დოკუმენტში „პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა“. საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი გადის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაზე, რომელიც ორ კომპონენტს მოიცავს: წერით და ზეპირ გამოცდას. თითოეულ გამოცდაში მაგისტრანტობის მსურველი ფასდება 50-50 ქულით და თითოეულ გამოცდაში მან მინიმუმ 26 ქულა უნდა დააგროვოს.</p> <p>ზეპირი გამოცდა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: არჩეული სფეროს შესახებ დარგობრივი ბაზისური ცოდნა, მოტივაცია, კომუნიკაციის უნარი, აკადემიური მიღწევები. წერით გამოცდაზე მოწმდება მაგისტრანტობის მსურველის დარგობრივი საბაზისო ცოდნა ფილოსოფიის ისტორიაში. წერილობით გამოცდაზე მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა უპასუხოს 5 კითხვას/საკითხს. თითოეული საკითხი ფასდება 10 ქულით. მიღების დოკუმენტში, ასევე, მითითებულია ის ლიტერატურა, რომელიც მაგისტრანტობის კანდიდატმა გამოცდისთვის უნდა დაამუშავოს. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფარგლებში, ასევე, მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის კომპეტენცია (B² დონე) (იხ. „პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა“).</p> <p>ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება სწავლის შედეგებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამის შინაარსს, ხოლო შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ტიპი ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> დაწესებულების ვებ-გვერდი; პროგრამის აღწერა; „პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა“; თვითშეფასების ანგარიში.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამის სავალდებულო კურსების მოცულობა შეადგენს 18 კრედიტს („თეორიული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“, „პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“, „აკადემიური წერა“). სავალდებულო-არჩევითი კურსები მოიცავს ორ – თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის – მოდულებს, რომელთაგან მაგისტრანტმა მინიმუმ 30-30 კრედიტი უნდა დააგროვოს თითოეულ მოდულში. თუმცა, სასწავლო კურსების კატალოგში თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულებში კრედიტების მინიმალურ რაოდენობად 36-36 კრედიტია განსაზღვრული, რაც არ შეესაბამება პროგრამის აღწერაში მითითებულ კრედიტების რაოდენობას (მინიმუმ 30-30 კრედიტი). შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა და კრედიტების სწორი რაოდენობის მითითება დოკუმენტებში.</p> <p>პროგრამის თავისუფალი არჩევითი კურსების მოცულობა 12 კრედიტით განისაზღვრება და აღნიშნული კრედიტები მაგისტრანტს შეუძლია, დააგროვოს როგორც ფილოსოფიის, ასევე სხვა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, მისი მოცულობა 30 კრედიტით განისაზღვრება.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია სამაგისტრო დონისთვის დაწესებულ მოთხოვნებთან. მისი შინაარსი, ისევე როგორც პროგრამის სტრუქტურა, უზრუნველყოფს პროგრამის აღწერაში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტები (სავალდებულო, თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულები) ლოგიკურ ბმვაში არიან ერთმანეთთან.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი; • პროგრამის აღწერა; • დაწესებულების ვებ-გვერდი; • სასწავლო კურსების კატალოგი; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> • სასურველია დაკორექტირდეს ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების კატალოგში თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულებში კრედიტების მინიმალური რაოდენობა პროგრამის აღწერაში მითითებულ კრედიტების რაოდენობასთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

თვითშეფასების ანგარიშის (გვ. 9) თანახმად, პროგრამას დაემატა ორი სავალდებულო კურსი: „თეორიული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“ და „პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“, რის შედეგადაც სავალდებულო კურსების რაოდენობა 6-დან 18 კრედიტამდე გაიზარდა. სავალდებულო-არჩევითი კურსების რაოდენობა კი 60 კრედიტი გახდა. ამასთანავე, პროგრამას მოაკლდა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ბლოკი.

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო მოდულში შედის სამი სასწავლო კურსი: „თეორიული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“, „პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები“ და „აკადემიური წერა“. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და აქტუალურია.

პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულში შედის შემდეგი კურსები:

- ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია
- პოლიტიკური თეოლოგია
- ზიგმუნდ ფროიდი და არაცნობიერის ფსიქოლოგია
- რელიგიის ადგილი და საზღვრები კლასიკურ და პოსტკლასიკურ ევროპულ ფილოსოფიაში (კანტი, ჰეგელი, ფოიერბახი, მარქსი, კირკეგორი)
- კარლ მარქსის “თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“
- ვალტერ ბენიამინის თეზისები "ისტორიის ცნების შესახებ“
- ფსიქანალიზი და გენდერი
- კაპიტალიზმი, როგორც რელიგია
- ეთიკის და მეტაეთიკის პრობლემები
- საერთაშორისო სამართლის ფილოსოფიური ასპექტები
- პოსტმოდერნული ესთეტიკური თეორიები
- ფემინისტური ფილოსოფია
- პოლიტიკის ფილოსოფია

თეორიული ფილოსოფიის მოდულში შედის შემდეგი კურსები:

- მეცნიერების ფილოსოფია
- ინტენციონალობის თეორიები შუა საუკუნეების ფილოსოფიაში
- სტრუქტურა და პარადოქსი: წინააღმდეგობის პოსტდიალექტიკური ფიგურები
- დიალექტიკა ანტიკურ და მოდერნის ფილოსოფიაში
- სპინოზა და თანამედროვე სპინოზიზმი
- ლოგიკა და თეოლოგია: არისტოტელეს სემანტიკური თეორია და მისი ინტერპრეტაციები შუა საუკუნეებში
- ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“. ტექსტი და კონტექსტი
- ონტოლოგია და თეოლოგია: ავგუსტინეს და ბოციუსის ტრინტარული კონცეფციები
- გ. ვ. ფ. ჰეგელის „ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე“
- ცოდნა, რწმენა და რწმენის ხარისხები

აღნიშნულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რადგან თანამედროვე ფილოსოფიური კვლევის შესახებ სწრაფად განახლებადი ინფორმაცია უფრო მეტად სამეცნიერო სტატიების მეშვეობით ვრცელდება და რადგან საქმე პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულს ეხება, სასურველია

<p>უახლოეს 10 წელიწადში გამოქვეყნებული (თემების შესაბამისი) სტატიების უფრო მეტად ინტეგრირება პროგრამის სილაბუსებში. ეს, ასევე, მაგისტრანტებს დაეხმარება მონაცემთა ბაზებში ძირითად ლიტერატურასთან დაკავშირებული დამატებითი ლიტერატურის მოძებნასა და, ზოგადად, კვლევითი უნარების განვითარებაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის კურიკულუმი; • პროგრამის სილაბუსები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • რადგან თანამედროვე ფილოსოფიური კვლევის შესახებ სწრაფად განახლებადი ინფორმაცია უფრო მეტად სამეცნიერო სტატიების მეშვეობით ვრცელდება, სასურველია უახლოეს 10 წელიწადში გამოქვეყნებული (თემების შესაბამისი) სტატიების უფრო მეტად ინტეგრირება პროგრამის სილაბუსებში (განსაკუთრებით, პრაქტიკული ფილოსოფიის მოდულში). ეს, ასევე, მაგისტრანტებს დაეხმარება მონაცემთა ბაზებში ძირითად ლიტერატურასთან დაკავშირებული დამატებითი ლიტერატურის მოძებნასა და, ზოგადად, კვლევითი უნარების განვითარებაში; • სასურველია, სილაბუსებში „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია“, „ზიგმუნდ ფროიდი და არაცნობიერის ფილოსოფია“ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა უფრო სრულყოფილად იყოს დამოწმებული (გამოცემის ენა, ადგილი და ა.შ.). ასევე, სასურველია, მოცემული თემების შესახებ უახლესი ლიტერატურის (იხ. წინა რჩევა) და სხვა მნიშვნელოვანი ავტორების ნაშრომების მითითება (მაგალითად, ფროიდის შემთხვევაში პოლ რიკიორის ცნობილი ნაშრომის „ფროიდი და ფილოსოფია“ და სხვ.).
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • სილაბუსი „აკადემიური წერა“ შედგენილია ძალიან დეტალურად: მასში დაწვრილებითაა მოცემული თემატიკა, განსახილველი საკითხები, შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და ა.შ.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე უნდა დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს და მისი შესრულება სავალდებულოა. სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, „განუვითაროს სტუდენტს ერთ-ერთ ფილოსოფიურ დისციპლინაში (მეტაფიზიკა, ეპისტემოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, სოციალური ფილოსოფია, პოლიტიკის ფილოსოფია ან რელიგიის ფილოსოფია) ცენტრალური პრობლემის განსაზღვრის და მისი დამოუკიდებლად კვლევის უნარი მყარი თეორიული ჩარჩოს, თანამედროვე მეთოდოლოგიური პრინციპებისა და დარგობრივი მეთოდების გამოყენებით“ (გვ. 2). სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სტუდენტი თავად ირჩევს. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: 1. პროგრამაში ჩართული პროფესორი, ან მოწვეული პირი, რომელსაც გააჩნია დარგის ცოდნა; 2. ფილოსოფიის პროგრამის დოქტორანტი, რომელიც დარგის მიმართულებით აწარმოებს კვლევას. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი რეგულარულ კონსულტაციებს უწევს მაგისტრანტს ნაშრომზე მუშაობის პროცესში. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია პროგრამისა და სამაგისტრო ნაშრომის თემის სპეციფიკაზე. არაუგვიანეს მე-13-ე კვირისა, სტუდენტი ტვირთავს თავის ნაშრომს ელექტრონულ პორტალზე პლაგიატზე შემოწმებისა</p>

და უკუკავშირის მიღებისთვის, ხოლო არაუგვიანეს 15-ე კვირისა, წარადგენს ნაშრომის საბოლოო ვერსიას. სამაგისტრო პროგრამის აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსების კატალოგი; • სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაში შემავალ სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები გამოიყენება: <ul style="list-style-type: none"> • ლექცია/სემინარი • ინდივიდუალური და ჯგუფური (მცირე და საშუალო ზომის ჯგუფებში) მუშაობა • დისკუსია/დებატები • შემთხვევის ანალიზი (case study) • ნიმუშის/ების მიხედვით წერა (product approach/writing) • კოლაბორაციული, წერის პროცესში სწავლა (process approach/writing) • რეცენზირება/ურთიერთშეფასება (peer review) • ახსნა-განმარტებითი მეთოდი • დემონსტრირების მეთოდი • გონებრივი იერიში • ელექტრონული სწავლების მეთოდი • ანალიზი-სინთეზი • პირველწყაროებთან მუშაობის მეთოდი • პლენარული სემინარი (პრეზენტაცია, დისკუსია) • საშინაო დავალება (წერილობითი ნაშრომი) • ტექსტის ჩადრმავებული ანალიზი • თარგმანზე დაფუძნებული ტექსტობრივი ანალიზი სასწავლო კურსებში გამოყენებული მეთოდები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, ისინი შესაბამისობაშია მოცემული კურსების შინაარსთან და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით/პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
